დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ დირექტორის

მოვალეობის შემსრულებლის

2023 წლის 16 ოქტომბრის N 01/120 ბრძანებით

ცვლილება: 2025 წლის 17 დეკემბრის ბრძ. N01/174

სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი“

ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია

ფოთი

2025

კოლეჯში, სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესების დაცვით (მათ შორის „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის N82 დადგენილებით, მოქმედი კანონმდებლობით და კოლეჯის შესაბამისი აქტებით გათვალისწინებით), სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

1. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ (შემდგომში ,,კოლეჯი“) სოციალური და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებია:

- კოლეჯის ხელმძღვანელობა (პერსპექტიული გეგმები, პოლიტიკური ანალიზი, ეკონომიკური მდგომარეობა);
- სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;
- მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი/მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი;
- შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი;
- კოლეჯის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც იძლევა რეკომენდაციას გაუმჯობესებაზე.

2. გარემოსდაცვით სფეროში კოლეჯი უზრუნველყოფს:

- გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით ტექნიკური ინფრასტრუქტურის და შიდა პროცესების გაუმჯობესებას;
- თანამშრომელთა და პროფესიული სტუდენტების კომპეტენციის მუდმივ ამაღლებას, ტრენინგების და ინსტრუქტაჟების ჩატარებას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის, რისკების მართვის, დაგეგმვის და ანალიზის სფეროში;
- საგანგებო კრიზისული სიტუაციების მართვის მუდმივ დახვეწას და გაუმჯობესებას, პრობლემების

ლიკვიდაციას უმოკლეს დროში;

2.1. კოლეჯი ახორციელებს ნარჩენების მართვას, რომლებთანაც შეხება შეიძლება ჰქონდეს კოლეჯის შენობასა და სახელოსნოებში მომუშავე თანამშრომლებს სამუშაო პროცესის შესრულების დროს. ორგანიზაციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან გარემო დაიცვან დაზიანებებისგან გამომწვევი მიზეზების ცოდნის გათვალისწინებით, რაც აადვილებს სათანადო ზომების შემუშავება-გატარებას შემთხვევის და ინციდენტის პრევენციისთვის.

3. კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

ა)ნარჩენების შეგროვება, ტიპობრივად დახარისხება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (კოლეჯის ბაზაზე) მოდულის/ პროგრამის დასრულებამდე;

ბ)მოდულის/ პროგრამის დასრულებისას კოლეჯის ტერიტორიაზე, შესაბამის სახელოსნოებში, სადაც იქნება შესაძლებელი მისი დახარისხება სახეობად, მაგალითად: რკინა, ხე, მინა და ა.შ;

გ) ნარჩენების გადატანა სანაგვე კონტეინერებში;

დ)სახიფათო მავნე ნარჩენები კოლეჯში შეგგროვდება ცალკე კონტეინერებში, შესაბამისი მარკირებით და ლიცენზირებული კონტრაქტორის მიერ კოლეჯის ტერიტორიიდან მოხდება მათი გატანა კონტრაქტით დადგენილი პერიოდულობით;

ე)არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

4. კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მოძრაობას და განკარგვას კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყობს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი/მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი.

5. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილ სამსახურებრივ ბარათში ფოტო ან/და ვიდეომტკიცებულებებთან ერთად.